



ბუნებათსარგებლობის ანთროპოლოგიის ზოგიერთი საკითხი მესხეთის მაგალითზე

*ჩხიკვიშვილი გ.ს., **სართანია დ.გ., ***ნიკოლაიშვილი დ.ა.

* ნიკო ბურის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მუზეუმი

*** ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი

ანოტაცია: ადამიანის ყოფას ის გარემო პირობები განსაზღვრავენ, სადაც ადამიანთა მოცემული ერთობა ბინადრობს. მეორე მხრივ, კი თავად ადამიანი მისთვის სასარგებლოდ გარდაქმნის ამ ბუნებას და ზოგჯერ აზიანებს კიდევაც. არქეოლოგიური კვლევებით დადგენილია, რომ მესხეთი ადამიანის მიერ უძველესი დროიდანვე ათვისებული. ისტორიულ პერიოდში კი იგი მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად განვითარებული მხარეა. თუმცა სამეურნეო საქმიანობამ ამ მხარის ტყის საფარი მნიშვნელოვნად დააზიანა. მეორე მხრივ, აქაურმა მეურნემ შეიმუშავა ბუნებათსარგებლობის რაციონალური წესები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ტერასების მოწყობა. იგი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის იყო განკუთვნილი და ბუნებრივ პირობებთან ოპტიმალურად შეხამებული.

საკვანძო სიტყვები. ბუნებათსარგებლობა, ანთროპოლოგია, გარემოზე ზემოქმედება, მესხეთი.

ადამიანის არსებობა მხოლოდ დროში და სივრცეშია მოცემული და ამიტომაც მისი საქმიანობა ამ კატეგორიებით შეიძლება იყოს განხილული. თითოეული მათგანი და მითუმეტეს ამ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ შექმნილი სოციუმი (ტომი, ეთნოსი, ეთნიკური ჯგუფი, ერი) გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს სოციუმი გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ყოფით ცხოვრობს, რომელიც განსაზღვრულია სწორედ იმ გარემოთი, სადაც იგი ბინადრობს. ამიტომ ამ სოციუმის ყოფა იმგვარია, თუ როგორ და რაწაირ პირობებს ახვედრებს მას ეს გარემო და აგრეთვე რა გამოწვევების (ექსტრემალური კლიმატური პრობლემები, მიწისძვრა, წყალდიდობა, ღვაროცვი, მეწყერი და სხვ.) წინაშე აყენებს მას. ყოველივე ამის გათვალისწინებით ადამიანი ცდილობს მოცემულ სივრცეში მოიპოვოს არსებობის სახსარი. ამიტომ მიზნის მისაღწევად იგი სხვადასხვა საშუალებას მიმართავს: ცდილობს რაციონალურად მიუდგეს საარსებო სივრცეს, რომ იგი მას ხანგრძლივად ემსახუროს და თან მის სასარგებლოდაც გარდაქმნას იგი. ამდენად ეკოლოგიური ფაქტორი, რომელიც გულისხმობს გარემოსა და სოციუმის ურთიერთობას, ადამიანის ყოფის სახის შექმნაში მნიშვნელოვანია და ბევრჯერ განმსაზღვრელიც.

ეს გავლენა სხვადასხვა ინტენსივობითა და მასშტაბების ვლინდებოდა ერთი მხრივ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და, მეორე მხრივ დედამიწის სხვადასხვა მხარეში. ანთროპოლოგიური პროცესები მიმდინარეობდა საქართველოშიც. მათ შესახებ მსჯელობა შესაძლებელია ისტორიულ წყაროებში შემორჩენილი ცნობებითა და ბუნებაში შემონახული „რელიქტური“ ნიმუშებით. მესხეთი, რომელიც ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებით

ხასიათდება, ეს გარემოება ხელს უწყობდა მის ოდითგანვე დასახლებასა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას. საუკუნეების მანძილზე იგი განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მხარე იყო, თუმცა უცხო ტომების ბატონობამ ძირეულად შეცვალა აქ დამკვიდრებული ტრადიციული და ეფექტური ბუნებათსარგებლობის პრაქტიკა. ამან არა მარტო სრულიად შეცვალა გარემოზე ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბები, არამედ გავლენა იქონია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამ თვალთახედვით მნიშვნელოვანია იმ მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილების გამოვლენა, რომელიც თანამედროვე პერიოდის რეალიების გათვალისწინებით, შესაძლებლობა მისცეს მიიღოს ეკონომიკური სარგებელი და ამავდროულად შენარჩუნდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო.

ჯავახეთის მაღალი მთის პლატოები, რომელიც დღეს ველებით ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებითაა წარმოდგენილი, ადამიანმა დაახლოებით 4-5 ათასი წლის წინ აითვისა. შესაბამისად გარემოზე ზემოქმედება აქ დროის დიდ პერიოდს მოიცავს. ეს ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაგალითად უპირველესად **ტყის განადგურება** უნდა დასახელდეს. როგორც ფიქრობენ, წარსულში აქ გაცილებით დიდ ფართობზე იყო გადაჭიმული ტყეები, რომელთა განადგურება აქ ბრინჯაოს ხანიდან უნდა დაწყებულიყო. ჯავახეთის ზეგნის ერთ დროს არსებული ტყეები ადამიანმა ჯერ კიდევ ჰოლოცენის დასაწყისში მოსპო [1; 2]. ისევე როგორც მთელ საქართველოში, მესხეთშიც ტყეები განადგურდა XIX საუკუნეში, როცა უცხოელი თუ ადგილობრივი კერძო მეწარმეები ანადგურებდნენ საუკუნეების მანძილზე ხელუხლებელ ტყეებს. ამის შესახებ ალ. ფრონელი წერდა, რომ სამცხე-საათაბაგოში შედარებით უკეთ არის შენარჩუნებული ის ტყეები, რომლებიც ხაზინას ეკუთვნის. კერძო მემამულეები კი თავიანთ კუთვნილ ტყეებს, „უწყალოდ ექცევიან... ანადგურებენ...“-ო [3].

მესხეთში ძველად ტყის არსებობის დასტურია არაერთი არქეოლოგიური ნიმუში, აგრეთვე ნიადაგურ საფარში შემორჩენილი რელიქტური ჰორიზონტები და განამარხებული ფლორის ნიმუშები [4]. ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფლების ბეჟანოს, აზავრეთის, ალათუბნის, ლომათურცხის, დიდი სამსრის, პატარა სამსრის, ბუღაშენის, ბალხოს მიდამოები წარსულში ტყით ყოფილა შემოსილი. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით დადგენილია, რომ ტაბაწყურის ნაპირები ფიჭვისა და ნაძვის ხშირ ტყეს ეკავა. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ ტბის გარემო „ნაძენარი“ და „ტყიანი“ ყოფილა [5]. ცხადია, ეს იმას, როდი ნიშნავს, რომ ჯავახეთის მთელი ტერიტორია ტყით იყო დაფარული (ვახუშტი ბაგრატიონიც მას უტყეო ქვეყნად იხსენიებს). მაგრამ ერთი კი უდავოა, რომ წარსულში ტყეებს აქ გაცილებით მეტი ფართობი ეკავა.

ტრადიციული ბუნებათსარგებლობისა და ადამიანის მიერ გარდაქმნილ გარემოზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის **ტოპონიმია**. ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელია არა მარტო თანამედროვე, არამედ ისტორიული ტოპონიმებითაც. აქ წარსულში ტყის არსებობაზე მოგვანიშნებს 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც“ [6], რომლის მიხედვითაც ჯავახეთის გარკვეული ნაწილი „ტყიან ჯავახეთად“ არის მოხსენიებული. კერძოდ, დავთარში დასახელებული 37 ნაპიდან (რაიონი) 2-ს სახელწოდებაში მითითებული აქვს „ტყიანი“. ესენია: ტყიანი ჯავახეთის ნაპიე და ტყიანი ნაპიე. ტყიანი ჯავახეთის ნაპიე დღეს მთლიანად თანამედროვე საქართველოს ფარგლებშია. იგი ექვემდებარებოდა ხერთვისის ლივას და ეკავა 505კმ² ფართობი. აქ 68 სოფელი იყო გაერთიანებული: აგანა, აზავრეთი, აკარნათა, ალაისუბანი, არაგვა (არუგ), ბალანთა, ბარალისი, ბოქთასყური, ბურნაშეთი, გელთუბანი, გოკია, გულუსუბანი, დევა, ვარგავი, ვარდციხე, ვარევანი,

ზაკვი, ზაქარწმინდა, ზემო სამსარი, ზემო-ალასთანი, ზეოტა, ზერეონია, თოკი, კაჭიო, კოთელია, კურაშენი, ლაღათუბანი, ლომატურცხი, მერონია, მოდეგანი, მოლითი, მურჩი, მუხრაშენი, ოლდანი, ორჯუა, ოძისი, სესი, სირგვი, ტაბისყური, ტურცხი, ფოზანო, ქადისხევი, ქართაშენი, ქვემო ალასთანი, ქვემო სამსარი, ქურდოვანი, ღრტილა, ყუმური ტაბისყურის თევზისა, შვიდ-კლესია, ცხია, წინუბანი, ჭარული, ხანდო, ხანჯაური, ხარიანი, ხიდჯვარი, ხურმისი, ხურმიში, ჯანჯლა და კიდევ 10 უსახელო სოფელი. მრავალი სოფელი დღემდე ამავე სახელწოდებითაა შემორჩენილი და თუ გადავავლებთ თვალს მათ მიდამოებს დღეს, ისინი თითქმის მთლიანად უტყეოდ წარმოჩნდება. ტყიანი ნაპიე კი დღეს საქართველოს ფერგლებს გარეთაა. იგი შედიოდა დიდი არტაანის ლივანში და ეკავა 1037 კმ² ფართობი. მთელი ეს ტერიტორია, მცირე გამონაკლისის გარდა, დღეს თითქმის უტყეოა. აქ შედიოდა 87 სოფელი და 2 მამული.

გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ტრადიციულ ფორმად **ტერასული მიწათმოქმედება** უნდა დასახელდეს. მესხეთი, რომელიც დიდი ჰიფსომეტრიული დიაპაზონით, მრავალფეროვანი და კონტრასტული ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, ოდითგანვე დიდ შესაძლებლობას აძლევდა აქაური მეურნეს - შეექმნა ბუნებათსარგებლობის მეტად მდიდარი, ნაირგვარი და რაც მთავარია, სწორი მიდგომები. ამიტომ მიწის ათვისების რეჟიმი სრულიად განსხვავებული იყო ზედაპირის სხვადასხვა დახრილობასა და ექსპოზიციასზე, რომ არაფერი ვთქვათ, კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე. ფერდობის დატერასება მთელ თაობებს უზრუნველყოფდა მაღალი სასოფლო-სამეურნეო შემოსავლით. ეს განპირობებული იყო უპირველესად სწორად შერჩეული სამეურნეო ათვისების ფორმებით, რაც დამრეც და ციცაბო ფერდობებს იცავდა ჩამორეცხვისაგან.

მესხეთში გვხვდება რელიეფთან შეხამებული ორგვარი ტერასები: ლარები და დარიჯები. ლარები, ანუ უკედლო ტერასები მოწყობილია ნაკლები დახრილობის (8-10°) ფერდობებზე. ლარები ფერდობის განივად ხვნის შედეგად მიიღებოდა და დაბალ მხარეს ნიადაგის შემაკავებლად რაიმე ხელოვნური კედელს არ საჭიროებდა. სხვა ვითარება იყო დარიჯების შემთხვევაში, რომელიც მკვეთრი დაქანების ფერდობებზე ეწყობოდა, თანაც მდინარის ხეობის გასწვრივ იმგვარად, რომ ნიადაგის მორწყვა მდინარის წყლის გამოყენებით მომხდარიყო [7]. ბუნებათსარგებლობის ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, იწვევდა გარემოზე ანთროპოგენურ ზემოქმედებას, თუმცა ეს არანაირად არ იყო დესტრუქციული ხასიათის, პირიქით, რაციონალური ბუნებათსარგებლობის იშვიათი ნიმუშებიცაა.

2014-2016 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით ჩატარებულმა სავსე კვლევებმა გამოავლინა, რომ მესხეთის ტერასები ზოგან სრულიად განადგურებულია, ზოგან გამოუყენებელი და მხოლოდ მცირე ნაწილია რესტავრირებული. მაგალითად, ხერთვისის დარიჯები, სადაც დღემდეა შემორჩენილი არა მარტო ტერასის ბაქნები თავისი ქვის კედლებით, არამედ მრავალწლიანი ნარგავები და ქვის სამეურნეო ინვენტარიც საქაჯავების სახით. ეს კი ამ მხარეში მეხილეობის საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებაზე მიუთითებს. ეს დარიჯები მდ. ფარავანის წყლით ირწყვებოდა, რომელიც რამდენიმე ასეული მეტრის მანძილიდან იყო გამოყვანილი. სარწყავი წყლის არხი საგანგებოდ მოწყობილ ქვით ამოყვანილ კალაპოტში მიედინებდა, რომელსაც ადგილ-ადგილ ჰქონდა საქცევები მოწყობილი სხვადასხვა ბაქანზე წყლის მისაშვებად. არხი გამოყვანილი იყო ყველაზე მაღალ ბაქანზე და შემდეგ ნაწილდებოდა ქვემოთა ბაქანებზე [7].

მესხეთში **ვაზის** ზრდა-განვითარებისათვის მეტად განსხვავებული ბუნებრივი პირობებია. უფრო ხელსაყრელია სამცხის ტერიტორია და ნაკლებად - ჯავახეთი. თუმცა ძველად ვაზი ჯავახეთშიც იყო მოშენებული, მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის უდიდეს ტერიტორიაზე ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობები ამის შესაძლებლობას არ იძლევა. გამოსავა-

ლი კი მაინც მოიძებნა - ვაზის დამარხვა წლის ცივ პერიოდში. ამასთან ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა მოდის გაზაფხულსა და ზაფხულში, ე.ი. მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში. 5 თვის მანძილზე (აპრილიდან ივლისის ჩათვლით) ნალექების რაოდენობა წლიურის 54 %-ზე მეტია. სწორედ ამ გარემოების გამო, ბევრგან ვაზის მოყვანა აქ ურწყავა-დაცვა შესაძლებელი. თუმცა მორწყვის პირობებში მისთვის უკეთესი გარემო იქმნება და მაღალ მოსავალს იძლევა [8; 9]. ჯავახეთის ცალკეულ ადგილებში კი ნალექების სეზონური განაწილება (სიმცირე ზამთარში) უარყოფითად მოქმედებს ვაზის ზრდა-განვითარებაზე. ზამთარში ტენის დეფიციტს აღმოსაფხვრელად ვენახებს საზამთროდ რწყავდნენ [10]. მესხეთში არსებული ტრადიციული ბუნებათსარგებლობის ეს პრაქტიკული მაგალითები დღესაც გასათვალისწინებელი და აღსადგენია.

ამრიგად, მესხეთის ტერიტორიაზე გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედება, ცხადია, ორი თვალთახედვით - დადებით და უარყოფით კონტექსტში შეიძლება შეფასდეს. ძველად ადგილობრივი მოსახლეობა უფრო გონივრულად იყენებდა ბუნებრივ რესურსებს - ითვალისწინებდა რა ზედაპირის ექსპოზიციასა და დახრილობას, კლიმატური პირობებს. ეს პრაქტიკა თითქმის მივიწყებას მიეცა და აუცილებელია მისი თანამედროვე პერიოდში გათვალისწინება, ცხადია, კომპლექსური კვლევების საფუძველზე.

ლიტერატურა

1. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბილისი, 1964. 343 გვ.
2. Долуханов П. География каменного века. М., 1979. 150 с.
3. ფრონელი ალ. დიდებული მესხეთი. თბილისი: მარიხი, 1991. 208 გვ.
4. კეცხოველი ნ. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში. თბილისი, 1957. 487 გვ.
5. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოს. თბ., 1941. 357 გვ.
6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქულიდან თარგმნა ს. ჯიქიამ. თბ., 1941. 504 გვ.
7. Sartania D. Traditional culture of nature management in Samtskhe-Javakheti. // Proceedings of International Conference: "Applied Ecology: Problems, Innovations", 7-10, May. Tbilisi-Batumi.
8. ნიკოლაიშვილი დ., სართანია დ., უჯმაჯურიძე ა. ვაზის კულტურა სამცხე-ჯავახეთში. // სამეცნიერო კონფერენციის მასალები "რეგიონული განვითარების პერსპექტივები: სამცხე-ჯავახეთი", შრომათა კრებული. თბ., 2016. გვ. 43-60.
9. რცხილაძე ი. საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956. 196 გვ.
10. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ. საქართველოს ამპელოგრაფია. თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960. 439 გვ.

SOME ISSUES OF ENVIRONMENTAL ANTHROPOLOGY ON THE EXAMPLE OF MESKHETI

Chkhikvishvili G.S., Sartania D.G., Nikolaishvili D.A.

Summary: A human life is essentially influenced by the environmental conditions where a given unity of people lives, while on his turn, a man changes his living environment in his favor and sometimes, even damages it. The archeological studies have made it clear that the territory of Meskheta has been used by people since the ancient times, and in the historical period, it was a densely populated and economically well-developed region, though human's economic activities have badly damaged its forest cover, while on the other hand, the local tillers had developed the rational rules of the nature use. The terraces in Meskheta are the most vivid example of this. The terraces were used to grow agricultural crops and they were optimally adapted to the natural environment.